

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი

15 იანვარი, 2011

სხდომა №1

სხდომის ოქმი №1/2011

სხდომას ეწვრიებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. ასოცირებული პროფესორი ოლდა ქვეთარია,
5. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე,
6. პროფესორი მაკა სალხინაშვილი,
7. ასოც. პროფესორი მაკა კაჭარავა
8. პროფესორი ნინო ორმოცაძე,

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის გაუქმების თაობაზე. (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე. (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);
3. ბიზნესისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე. (მომხს. ასოც. პროფ. მ. კაჭარავა);
4. იურისტებისათვის ინგლისური ენის სახელმძღვანელოს განხილვა (მომხს. ო. ქვეთარია).

1. მოისმინეს: პროფ. კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების, სსიპ "განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის" დირექტორისა და აგრეთვე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა პოზიციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გაუქმდეს თჰუ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა. ამ პროგრამაზე უნივერსიტეტში ჩარიცხულია მხოლოდ ორი სტუდენტი, ორივეს სტატუსი აქვთ შეჩერებული. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორს უნდა დაევალოს სტუდენტთა ინფორმირება პროგრამის გაუქმებისა და მობილობით სარგებლობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. სალხინაშვილმა, პროფ. ვ. საყვარელიძემ.

გადაწყვიტეს:



ა) გაუქმდეს თჰუ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა 2010-2011 სასწავლო წლის მე-2 სემესტრიდან;

ბ) ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

2. მოისმინეს: პროფ. ვ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ სამართალმცოდნეობაში დარგობრივი სტანდარტისა და კვალიფიკაციათა ჩარჩოში შესული ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირება და ზემოაღნიშნული დოკუმენტების ბოლო რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა;

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. სალხინაშვილმა, ასოც. პროფ. მაკა კაჭარავამ

გადაწყვიტეს:

ა) მოდიფიცირდეს თჰუ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა და დამტკიცდეს იგი წარმოდგენილი რედაქციით 2010-2011 სასწავლო წლის მე-2 სემესტრიდან;

ბ) ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

3. მოისმინეს: ასოც. პროფ. მ. კაჭარავას ინფორმაცია ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული ბიზნესისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ო. ეჯიბაძემ, პროფ. ვ. საყვარელიძემ.

გადაწყვიტეს:

ა) დამტკიცდეს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული ბიზნესისა და მართვის საბაკალავრო პროგრამა მოდიფიცირებული სახით 2010-2011 სასწავლო წლის მე-2 სემესტრიდან;

ბ) ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

4. მოისმინეს: ასოც პროფ ო. ქავთარიას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ მარინა მესხელმა გამოსაცემად მოამზადა სახელმძღვანელო „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი იურისტებისათვის“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის რომლებსაც შესწავლილი აქვთ ინგლისური ენის საბაზო კურსი (ინგლისური ენა- ნაწ. 1) და საჭიროებენ იურიდიული ტერმინოლოგიის დაუფლებას. სახელმძღვანელო შედგება 20 გაკვეთილისგან, თითოეულს თან ახლავს ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი, ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოები, რომლებიც ეხმარება სტუდენტს ახალი მასალის ათვისებაში და ნასწავლი გრამატიკული მასალის გამეორებაში. აღნიშნული სახელმძღვანელო სტუდენტს მისცემს საშუალებას ათვისოს თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგია და გამოიყენოს იგი პრაქტიკაში. ო. ქავთარიამ საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ მხარი დაუჭირონ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს გამოცემას უნივერსიტეტის სახელით

აზრი გამოთქვეს: პროფ. ვ. ყურაშვილმა, პროფ. ვ. საყვარელიძემ.

გადაწყვიტეს:




ა) მოწონებულ იქნა მარინა მესხელის სახელმძღვანელო „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი იურისტებისათვის“;

ბ) მიეცეს ნებართვა მარინა მესხელს სახელმძღვანელოს გამოცემისას მიუთითოს, იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელო განხილულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და მოწონებულია.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი